საქართველოს რესპუბლიკა

ფელიეტონი პირველი

ფასი 40 კაპ.

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 2 ბარათოვი, 26 ივლისი 1918 წ. № 2

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.

საველდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—182.

ოფიციალური

სახალხო განათლების სამინისტრო ამით აცხადებს, რომ რადგანაც მომავალი სასწავლო წლისთვის საჭიროა გამოირკვეს რიცხვი იმ არა ქართველ მოწაფეთა, რომელნიც, როგორც საქართველოს მოქალაქეთა შვილები, სწავლას გასაგრძობთ სახელმწიფო საშუალო სასწავლებლებში დარჩებიან, წინადადება ეძლევათ არა ქართველ მოწაფეთა მშობლებს ამ წლის 5 აგვისტომდი განცხადება შეტანონ სათანადო სასწავლებლებში. სურთ თუ არა მათ, როგორც საქართველოს მოქალაქეთ (ქვეშმრდომთ) თავისი შვილები სწავლის ისაღებათ საქართველოს საშუალო სასწავლებლებში დასტოვონ, სადაც სწავლება მათს სამშობლო ენაზე იწარმოებს. (8—1)

განცხადება

ქვემოთ მოსსენებული საკრედიტო დაწესებულებები ქ. თბილისისა ყველას საყურადღებოდ აცხადებენ: ფულის ნორმალური ფასის აღდგენის მიზნით 25 ივლისიდან 1918 წ. ისინი ღებულობენ ნაღდ ფულს განუსაზღვრელად რიოდენობისა, როგორც მიმდინარე ანგარიშზე, ისე შესანახად სრული გარანტიით, რომ პატრონებს ჰირველ მოთხოვნისთანავე დაუბრუნდებათ მიბარებული ფული. შეუჩერებლივ ფულის მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ბანკის თბილისის კონტორასთან დაარსდა განსაკუთრებული სარეზერვო ფონდი. იმ ფულის გამოტანა, რომელიც შეტანილია 25 ივლისამდე, ჯერ-ჯერობით იწარმოებს ეწლა არსებულ ნორმით.

თბილისის კონტორა სახელმწიფო ბანკისა,
კავკასიის ბანკი,
თბილისის ვაჭართა ბანკი,
ამიერ-კავკასიის კომერციული ბანკი,
ვოლგა-კამის კომერციული ბანკი,
აზოვ-დონის კომერციული ბანკი,
პეტროგრადის საერთაშორისო ბანკი.

I. საზოგადოება საურთიერთო ნდობისა. რუსულ საზოგადოების საურთიერთო ნდობის გამეორება. კავკასიის საზოგადოება საურთიერთო ნდობისა.

II. საზოგადოება საურთიერთო ნდობისა. ბანკის კონტორა ა. ი. ჰრიდონოვისა. 3—1

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა სამეწაო-მოქმედო სამინისტროს. 23 ივლისი, 1918 წ. № 18. ქ. თბილისი.

გადაყვანილია თბილისის მაზრის მომრიგებელ განყოფილებ[illegible] მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ნ. გ. [illegible]ნატოვსკი ამა წლის 25 ივლისიდან მიწათ[illegible]მედების სამინისტროს საიურის-კონსულტ[illegible] ადგილის საქმის მწარმოებლათ.

მიწათ-მოქმედების [illegible]ტრის მაგიერ პ. გელეიშვილი.

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა სამეწაო-მოქმედო სამინისტროსი. № 16. 20 ივლისი, 1918 წ.

მოქალაქე ნიკოლოზ კონსტანტინესი ანდრონიკაშვილი ამა წლის 20 ივლისიდან ინიშნება კარაკალის და გიაურ-არხის სახელმწიფო ნაციონალურ ქონების გამგეთ.

მიწათ-მოქმედების და შრომის მინისტრი ნ. გ. ხომერიკი.

კანონი

ამიერ-კავკასიის კომისარიატის 300 მილიონი მანეთის ბონის პასუხისმგებლობის და 200 მილიონი მანეთის ბონის ახლად გამოცემისა.

I. საქართველოს ეროვნული საბჭო აღიარებს, რომ სამასი მილიონი მანეთის ბონი, რომელიც გამოიცა ამიერ-კავკასიის კომისარიატის და სეიმის დადგენილებით, ვალად ედება ამიერ-კავკასიის სამს ახალს რესპუბლიკას—საქართველოს, აზერბეიჯანს და სომხეთს, ხოლო, ვიდრე შეთანხმება მოხდებოდეს, თუ რომელ რესპუბლიკას რამდენი ედება ვალად, ამ სამასი მილიონი მანეთის ბონის პასუხისმგებლობას თავს იღებენ საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკები, თანახმად განსაკუთრებულ ხელშეკრულობისა.

2. საქართველოს ეროვნული საბჭო უფლებას აძლევს მთავრობას გამოსცეს კიდევ ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბონები, სომხეთის მთავრობასთან შეთანხმებით, ორასი მილიონი მანეთისა, რომელთაგანაც სომხეთის მთავრობას უნდა მიეცეს ოთხმოცი მილიონი მანეთის [illegible] მთავრობის განკარგულებაში დარჩეს ას-ოცი მილიონი მანეთისა. პასუხისმგებლობა ამ ორასი მილიონი მანეთის ბონისა ედება ორსავე რესპუბლიკას, საქართველოსა და სომხეთს, თანახმად განსაკუთრებულ ხელშეკრულობისა.

23 ივლისი, 1918 წ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ყორდანია.

არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 26 ივლისი.

ეს თვრამეტი წლის წინათ დაჭანცულმა საქართველომ მფარველობა სთხოვა რუსეთს, რომელმაც თვალის დახამხამებისთანავე მფარველობა ბატონობად მოგვიყენა.

დღეს რუსეთისაგან მოწყვეტილ და განთავისუფლებულ საქართველოს რესპუბლიკა სხვა ორიენტაციას გაყვა და გერმანიის მფარველობას ეზიარა.

ასი წლის წინათ საქართველოს საკითხი ვერ გასცილდა რუსულ სფეროს, მან ვერ მოიპოვა საერთაშორისო მნიშვნელობა, რამაც ხელი შეუწყო მის პოლიტიკურ დამონებას.

დღეს საქართველოს საკითხი საერთაშორისო პოლიტიკის შუაგულში მოხვდა, მისი ბედი, თუმც გერმანიის კეთილგანწყობილების და მფარველობის ქვეშ, საერთაშორისო ქუარაში იბედება. პირველათ საქართველოს მდგომარეობა განხილული იქნება სტამბოლის თუ ბერლინის საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც გაგზავნილი არიან ჩვენი წარმომადგენელნი.

ეს არის დიდი საერთაშორისო გარანტია იმისა, რომ ჩვენი დემოკრატიული თავისუფლება ფეხქვეშ არ გაითელება, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ხელუხლებელი და უზრუნველყოფილი იქნება.

მაშინ საქართველო დასასუტა გარეშე მტრებთან ბრძოლამ, მოღალა ფეოდალურ-დინასტიურმა შფოთმა და არეულ-დარეულობამ. ქართველი ხალხი ვერ აღმოჩნდა პოლიტიკურათ შეგნებული, რომ [illegible] პირით უარყოფ როგორც უტოპიურ [illegible] ტონობა, ისე მეფეურ-ფეოდალური წესწყობილება და [illegible] დემოკრატიულ საქართ[illegible] თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

ახლა მართალია საქართველო დამარცხდა გარეშე მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მისი დემოკრატია თავადდებული იბრძვის დამოუკიდებელი რესპუბლიკისა და თავისუფლებისათვის.

ეს არის დიდი შინაური გარანტია იმისა, რომ საქართველოს ბედი არ გაცუდდება და მისი დამოუკიდებლობა ადვილათ არ შეილახება.

ამ საერთაშორისო გრგვალის და შინაური ანარქიის დროს უდიდესი საკითხია ჩვენთვის საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების [illegible]ნარჩუნება. [illegible] სახელმწიფოებრივობის გაძლეკვაში და შინაური წესიერების დაცვაში.

ხოლო სახელმწიფოებრივ[illegible] ალმაშენებლობა ჩვენს პირობებში ადვილი საქმე არ არის. ჩვენ უნდა გავიჩინოთ კარგი ჯარი დემოკრატიული სამშობლოს უზრუნველსაყოფათ, უნდა მოვაგვაროთ ფინანსიური და სასურსათო საქმეები, რომ ყოველ საბრთხეს გავუმკლავდეთ და დაწყებული დემოკრატიული რეფორმები დავაგვირგვინოთ.

ყველა ამ საქმეში ჩვენ გვჭირია ხელის მომართვა, დახმარება. და რაღა თქმა უნდა უპრიანი არ იქნება ხელი მოგვიმართოთ მან, ვინც თავს იდვა საქართველოს დამოუკიდებლობის მფარველობა საერთაშორისო ურთიერთობაში. ეს არის გერმანია.

პრესის მიმოხილვა.

ლტოლვილთა უდიდესი ნაწილი ღარიბი ხალხია და უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება. მათი დახმარება ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობაა.

ქალაქის თვითმართველობამ მოწოდებით მიმართა მოქალაქეებს ლტოლვითა დასახმარებლად. გაზეთი „ერთობა“ მოუწოდებს მუშებს თავის დემოკრატიული ვალი შესასრულონ და გაჭირვებულ ლტოლვილებს დახმარება აღმოუჩინონ.

„ჩვენ მოვუწოდებთ პროფესიონალურ კავშირებს, პარტიულ მუშათა ორგანიზაციებს და რევოლუციურ პროლეტარულ დაწესებულებს თავის მხრივ მიიღონ ზომები ლტოლვილთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

მონაწილე გახდენ მათთვის ფულის შეგროვებისა მუშათა წრეებში, გასწონ შესაფერი აგიტაცია ხალხში, მოაწყონ სპეციალური ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი, დაათვალიერონ ყველგან მათი ბინები და საცხოვრებელი ადგილები, მიიღონ და შეიმუშაონ საჭირო ზომები, რომელსაც ადგილი და მდგომარეობა მოითხოვს.

ეს ძალიან კარგია. ეს საქმე მთელს დემოკრატიამ თავის საქმედ უნდა გაიხადოს და

ყოველნაირად ხელი შეუწყოს საერთო ლტოლვილთა დგომარეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. მაგრამ ამ საქმეს უმთავრესად ეს ახალშენდეთ უნდა მოჰკიდოს ხელი ადგილ საზოგადოებრივი ძალების დახმარებით. ამ ბიჯ დასძლიოს ყოველნაირი დაბრკოლება. არ ბიჯ უკან დავიწყოთო, რომ საკითხს აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ეს გავიგოთ: მეტის ყურადღებით მოვეკიდოთ საკითხს, რომ მართლაც ცოტად თუ ბევრად გავუუმჯობესოთ უმწეო მდგომარეობა ჩვენს ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებს, რომ გავგზავნოთ ისინი, ვინც წასასვლელნი არიან, ხოლო აქ დარჩენის მსურველთ, რამე საქმე მოვუყოთ.

ჯ. დასასრულ, დავიცვათ ათასგვარ ავადმყოფობისაგან. საჭიროა ისეთ განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ ორგანოს შექმნა, რომელიც გაუძღვება ლტოლვილთა ყველა ამ საკითხებს. დემოკრატია, რომლისთვისაც მრავლის მეტყველია სიმშილით და ავადმყოფობით დახოცილ ლია სიმშილით და ავადმყოფობით ... ...

ეკუთხებიან აბარელებს, მაგრამ ვი ინ აბარელს, რომელიც გაბედავს და ეტყვის ოსმალეთის ემისარს: თქვენთან ყოფნა არ გვსურსო.

ქობულეთში ფარული კენჭის ყრაც მოუხდენიათ, მაგრამ აქაც თურმე ძალადობას საზღვარი არა აქვს: როცა კენჭის ყრის მეთვალყურე ოსმალეთის ემისარს შეუჩნევია, რომ აბ[illegible]ელი ხა. თ-ელი ხმას აძლევს საქართველოს რესპუბლიკას, მაშინვე უბრძანებია: ხა. თ—ელი დაიჭირეთ და სვეტზედ გაკარითო. ბრძანებას სისრულეში მოიყვანდნენ, რომ იქ შემთხვევით მყოფი ‍ გერმანელი ოფიცერი არ ჩარეოდა. ასე ხდება დღეს აბარაში „თვითგამორკვევა“! ჩვენი მთავრობა უეჭველია, ამ საერთაშორის ძალადობას დიდ ყურადღებას მიაქცევს და ოსმალეთის ყოფილ დასაგმობ მოქმედებას ღირსეულათ დაიფასებს, სადაც ჯერ არს. მან უნდა მოითხოვოს ეს დიდი საქმე გადასწყდეს სამართლიანობის პრინციპის მიხედვით შესაფერ ობიექტიურ პირობებში.

გრ. გძელიშვილი

დასმარება ლტოლვილთ

მოქალაქენო! აქ, ჩვენი ქალაქის განაპირა უბნებში სტუბროს რამოდენიმე ათი ათასი ლტოლვილი, რომლებიც იღუპებიან სიმშილისა და წყურვილისაგან.

წვიდა ის დრო, როდესაც სიტყვები „სიმშილისაგან გარდაიცვალა“ იყო ‍ ‍ ‍

ხოლერა მძვინვარებს. არხანგელსკში ყოველ დღე 25 კაცი ხდება ავად. სარატოვში—100.

ინგლისი და რუსეთი. მოსკოვში მყოფმა კონსულმა განუმარტა რუსეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა კომისარს, რომ იაპონიის სურვილითაც არ სურს რუსეთის შინაური საქმეებში ჩარევა.

რუსეთი.

რუს მოქალაქეთა გამგზავრება გერმანელთა გემით. გერმანელთა გემი „გენერალი“ ფოთიდან გამგზავრა მკათათვის 22-ს საღამოს 5 ს. მის გამგზავრებამდის ფოთის ნავსაყდურს მიადგა მეორე გემი „კორკოვადო“. „გენერალ-ი“ სევასტოპოლისკენ გამგზავრა. „გენერალ-ისთ“ გაემგზავნენ 3000 მდე მგზავრი. „გენერალ-ს“ ფოთში მოელიან 6—7 დღის შემდეგ. „კორკოვადო“ ჯერჯერობით მგზავრებს არ ღებულობს.

თურგანის ფრონტზე.

ტაშკენტი. მოსკოვში. ტროიკის. ასლი ბონჩ-ბრუევიჩს. რეფერიუტი დღუპვის წინაშე სდგას. ბოხოთეთ მომაშელოთ სამხედრო მასალები ან პატრონები თერგანის ან კასპის ოლქებში თეთრ გვარდიელთა აჯანყების ჩასაქობად. მთელ იმედებს თქვენზე ვამყარებთ. ჩვენ მთელ ქვეყანას მოწყალეტლი ვართ გაეცოთ განკარგულება ვისადმიც ჯერ არს. განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეთ ბაკოს მომენტის ლოზუნგია: სამი დღის პატრონები კოლესოვი.

ოვი.

მფრინავთა მოქმედება,

კოპენჰაგენი. მკათათვის 20. „რიბესტიფფსტიდენდე“ იუწყება, რომ დილის 4 ს. ინგლისელთა 3 ჰაეროპლანმა გადაიარეს ვესტედვედ შტეფუს ჩრდილო დასავლეთით. მიემართავენდენ ჩრდილო-აღმოსავლეთით. ინგლისელთა 2 ჰაეროპლანი ჩამოვარდა ბულდანსა და სკოროლნოგთან. ბულდგანთან ჩამოვარდნილ ჰაეროპლანის ეკიპაჟი დაიწვა.

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. მკათათვის 3. საღამოს ცნობა. ავრის ჩრდილო ნაპირზე, სუასონსა და რეიმსას შუა გერმანელ კონნპრინცის ლაშქარმა მტრის ძლიერი ეერიზეთი შეაუძლურა.

გენ. მაზნიაშვილის დეპეშა. გენერალი მაზნიაშვილი დეპეშით იტყობინება: მკათათვის 20-ს დილის ცხრა სათზე ბრძოლით წინ წავიწევით სოფელ ლოოდან გოლოვინკისკენ, 15 სათზე (ღამ. 3 ს.) ჩვენ შეეხვედით მტერს. გავაჩაღეთ ბრძოლა. მტერი ტუაპსესკენ გარბის. ხელთ ვიგდეთ ზარბაზანი; 2 ტყვიის მფრქვეველი, ეროი ავტომობილი და ტყვეები. რიცხეს ვარკვევთ. მტრის რიცხვი 800 აღწევს. მთ აქეთ ჯავშნიანი ავტომობილი და მატარებელი. მტრის არტილერია მოქმედობდა მხრჩოლავ გაზებით. რაზმში კარგი განწყობიღებაა. ვშუამდგომლობ მესამე ქართულ პოლკის პირველ რაზმის უფროსის დაფით ჭკოდუას გიორგის მე 4 ხარისხის ჯვრით დაჯილდოვების შესახებ.

სტამბულის საზაფო კონფერენცია.

სომხის საზაფო დელეგაციის თავმჯდომარე ალ. აგარონიანი იუწყება:

საზაფო კონფერენციის პირველი სხდომა უნდა მომხდარიყო მკათათვის 24. სომხის დელეგაციამ აღძრა საკითხი ლტოლვილთა თავთავიან ადგილებში დაბრუნების შესახებ. სომხის დელეგაციამ და ოსმალთა წარმომადგენლებმა ამ საკითხის შესახებ უკვე იქონიეს პირველი თათბირი.

„Kaukas. Pos.“ (ადგილობრივ გერმანელთა ორგანო) სწერს: კონსტანტინოპოლში განზრახული კონფერენცია ბერლინში იქნება გადატანილი. ადგილს გამოცელის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ასეთი სურვილი გამოსთქვა მოსკოვის საბჭოს მთავრობამ. ბერლინის კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე მოსკოვის საბჭოს მთავრობის წარმომადგენლები.

კანონ-პროექტი

ოფიციალურ განცხადებებზე დაბეჭდვის შესახებ.

ყველა იმ შემთხვევაში, როცა რუსეთის კანონების ძალით ან რუსეთის მთავრობისგან დამტკიცებული წესდებების მიხედვით, რომელიმე ოფიციალური განცხადება უნდა დაბეჭდილიყო სენატის უწყებაში ან განცხადებებში, მთავრობის მოამბეში, ფინანსთა და ვაჭრობა - პრუფეელობის მოამბეში, პეტროგრადის ან მოსკოვის უწყებებში, ასეთი განცხადებები დაიბეჭდოს, თუ ეს შეეხება საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში შემდგარ საქმეებს,—საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ ორგანოში, რომელიც თბილისში გამოდის.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან იმისი მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

ხელს აწერენ: იუსტიციის მინისტრი შ. მესხიშვილი და მთავრობის საქმეთა მმართველი ს. ჯაფარიძე.

ახალი ამბები.

ხევსურთა ფარიკაობა (კეკნაობა). დღეს 26 ივლისს თბ. საარტისტო საზოგადოების საზამთრო თეატრში პირიქით და პირაქეთ ხევსურეთიდან მოწვეულნი ხევსურნი ცენტრალურ ქართველთა სამხედრო კავშირის მიერ, პირველად თბილისში ხმლისა და ფარის მოხდენილ ტრიალს აჩვენებენ, რომელსაც თვით ხევსურნი ფარიკაობას ანუ ჭაკეობას უწოდებენ, ხევსურნი ძველებურ რკინის პერანგებში ჩაჩქან აბჯარში ჩასხმულნი იკეკნავებენ ჯგუფ-ჯგუფად და ცალკ-ცალკე კეკნაობას მეთვალყურეობას გაუწევს ამ სამარი ვარჯიშობის თავის წესზე დასაცავად „ხევის ბერი“ გოგოთურ ჯინეარაული. ფარიკაობის შემდეგ გაიმართება ეროვნული კონცერტი ქართველთა სამხედრო კავშირის გაძლიერებულ გუნდისა კომპ. ნ. პ. სულხანიშვილის ლოტბარობით და ი. ა. სარაჯიშვილის მონაწილეობით. ხევსურნი კონცერტში დაუკრავენ ფანდურზე და დამღერებენ.

◆ სურსათის სამინისტროს რწმუნებული არდაშვილი უკვე შეუდგა პურის შეძენას. პურის შეძენა მოხდება საქონლეზე გაცვლით.

◆ რკინის გზის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა აიღოს თავის თავზე ინიციატივა—კვლევა სიის რკინის გზის მოსამსახურეთა ლიკვიდაციის.

◆ სახელმწიფოს მოსამსახურეთა კავშირმა მიმართა მთავრობას შუამდგომლობით მიეცეს მოსამსახურეებს ერთ დროული დახმარება.

◆ საფინანსო სამინისტროში შემდგარ თათბირზე დაადგინეს საღებრო ნიშნების, საკეტ ქაღალდების, ბანდეროლების და სათამბრო ქაღალდის ბეჭედი ბოხების დამზადებელ ექსპედიციამ აიღოსოს და მიეცეს უფროდღე, რომ სახელმწიფო ქაღალდების ბეჭედი არ მოხდეს კერძო სტამბებში.

◆ საქართველოს ეროვნულ საბჭოს კრება. დღეს 12 საათზე დანიშნული.

◆ ს. ნამახვანის აღება. ლეჩხუმიდან პოლკოვ. ინწკირელი იტყობინება დეპეშით: „24 ივლისს ავიღეთ „სოფ. ნამახვანი. ძოწიაღდეგე გამაგრებულულია ნამახვანიდან რჩილო დასავლეთით.

◆ ანარქიასთან საბრძოლველად მთავრობამ ნება მისცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალიაცასთან საბრძოლველათ 2 მილიონ მან. ფონდიდან მოიხადოთ ანარქიას და სპეციალიაციასთან საბრძოლველად.

◆ წარმომადგენელთა დანიშვნა საქონლის გაცვლის კომიტეტში დაინიშნენ წარმომადგენლებად თბილისის ბანკებიდან ი. მ. ლორთქიფანიძე, ა. გ. ჯაბადარი და ა. მარგველაშვილი, გზათა სამინისტროდან ინე. ა, ა. ტოლსტანოგოვი, მიწათ-მოქმედობის სამინისტროდან ლ. ა. ასათიანი.

◆ ქურდობა გერმანელთა კანცელარიიდან 18 ივლისს ყაჩაღებმა გატეხეს რკინის ყუთი და 56 ათასი მანეთი ფული გაიტაცეს, მილიციამ ყაჩაღები შეიპყრო, მონატაცები ფული მათ სრულათ აღმოაჩნდათ. ფული გადაეცა გერმანელთა შტაბს.

◆ მაჰმედ ბეგ აბაშიძე თბილისში ჩამოვიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქართველი მაჰმადიანი მაჰმედ ბეგ აბაშიძე, რომელიც ბათუმის აღებს დროს ოსმალებმა შეიპყრეს და სტამბოლში გადაასახლეს.

◆ ახალი გაზეთი 27 ივლის თბილისში გამოვა სოციალ-რევოლიუციონერი გაზეთი „შრომა.

◆ მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის კურსები. წელს მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის კურსები მოისმინა 82 ქალმა. 35 ერთ და იმავე დროს ისმენდა მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის კურსებს. 25 მხოლოდ მეფუტკრეობის, და 22 შეაბრეშუმეობისას.

მიწის საკითხის გამო.

II.

დღევანდლამდე და დღესაც ჩვენი ქვეყნის სოფლის ხალხი სოციალ-დემოკრალულ პარტიას მისდევდა. სოციალ-დემოკრატიის ასეთი ძლიერი გავლენის მიზეზი ის იყო და არის, რომ პირველათ ამ პარტიამ აღიმაღლი ხმა და საქმით, ორგანიზაციულათ შეებრძოლა იმ წესწყობილებას, რომელიც ყველაზე უფრო მეტის სიმძიმით აწვა გლეხთა წოდებას. თვითმპყრობელობის დროს გლეხი-ყმა პირუტყვათ იყო მიჩნეული, რომელსაც ცხრაპირ ტყავს აძრობდა და მით თავის თავს, ბიუროკრატიას და აუარებელ პოლიციას თმილათ და ტკბილათ ინახავდა.

დაბეჩავებულმა სოფლის მუშამ დაინახა და განიცადა მუშათა პარტიის გულ-თბილობა, ეოსარჩლეობა და მიწისა და თავისუფლებისათვის თავ-განწირული ბრძოლა.

ამ გარემოებამ ამ პარტიის სახელი და სიყვარული სოფლის ხალხს სულსა და გულში ჩაუნერგა.

იმ შავ-ბნელ დროს ჩვენ სოფელს მიწას ვპირდებოდით და მის მუნიციპალიზაციას ვუხსნიდით; სოფელი ყველაფერში ,ვგეზდობოდა და ამ საკითხშიც გვეთანხმებოდა.

დღეს კი სინამდვილე გვეუბნება, რომ სოფელს მაშინ მუნიციპალიზაციის ქადაგება თავისებურათ გაუგია, ,თავისებური ,მიხაარსიო ,ფანატიზმ ,ფანატიზმ ,ფანატიზმ